გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გიორგი შიოშვილის

2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის

ანგარიში

მოგახსენებთ, რომ 2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 14 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 196 საკითხის განხილვაში.

გაერთიანებული ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიულ საქართველოში". დავესწარი 7 სხდომას, მონაწილეობა მივიღე -85 საკითხის განხილვაში.

ასევე, დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის - 10 სხდომას, სადაც განხილული იქნა-16 საკითხი.

ამას გარდა, დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო ,საპროცედური საკითხთა და ეთიკის კომისიის-13 სხდომას, სადაც განხილული იქნა- 33 საკითხი.

მიმდინარე პერიოდის განმავლობაში პერიოდულად ვხვდებოდი მოსახლეობას სადაც გამოვლინდა შემდეგი პრობლემები:

1. სოფელ ბერბუკში საჭიროა მთავარი გზის მოასფალტება,შიდა საუბნო გზების მოხრეშვა-მოშანდაკება.
2. სოფელ რეხაში საჭიროა მთავარი გზის მოასფალტება ასევე ორმოულების გაკეთება.
3. სოფელ სვენეთში გასაკეთებელია მთავარი გზა, შიდა საუბნო გზების მოხრეშვა-მოშანდაკება, ავტობუსის მოსაცდელის გაკეთება.
4. სოფელ ხელთუბანში გასაკეთებელია მთავარი გზა, ასევე შიდა საუბნო გზების მოხრეშვა-მოშანდაკება.
5. სოფელ თორტიზაში ძირითადი პრობლემაა შიდა საუბნო გზების მოხრეშვა-მოშანდაკება, ორმოულების მოწესრიგება და ავტობუსის მოსაცდელის გაკეთება.

აღნიშნული მოთხოვნების ნაწილი მოგვარებულ იქნა, ნაწილი აისახება მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში.

მიმდინარე წელს გორის რაიონ სოფელ ხელთუბნის მოსახლეობის თხოვნით, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თამარ მურალოვასთან ერთად, საკრებულოში შევედით ინიციატივით: სოფ, ხელთუბნის #6 ქუჩას, ეწოდოს გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის, ანასტასია თუმანიშვილის სახელი. აღნიშნული ინიციატივა წარმატებით განხორციელდა.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი საქმიანობისა, აქტიურად ვმონაწილეობ საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მუშაობაში.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გიორგი შიოშვილის

ამომრჩევლებთან შეხვედრის დამადასტურებელი

ოქმი

სოფ: ხელთუბანი **2024 წლის 22 ოქტომბერი**

სხდომას ესწრებოდნენ :

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: თამარ მურალოვა

ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“- ფრაქციის თავმჯდომარე: კობა ბერიანიძე;

საკრებულოს წევრი: გიორგი შიოშვილი;

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: გორის მუნიციპალიტეტის ხელთუბნის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობა და საკრებულოს აპარატის სპეციალისტი ივანე ვარდანაშვილი.

სხდომას თავმჯდომარეობდა: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე- თამარ მურალოვა

დღის წესრიგი

საკრებულოს წევრის გიორგი შიოშვილის 2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე პირებს წარუდგინა საკრებულოს წევრი გიორგი შიოშვილი და გააკეთა განმარტება, რომ საკრებულოს ყველა წევრი ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, ამომრჩეველს წარუდგინონ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

სხდომის დღის წესრიგის მიხედვით სიტყვა გადასცა საკრებულოს წევრს ლიანა ოქროპირიძეს, რომელმაც დეტალურად ისაუბრა 2023 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის შესახებ. აღნიშნა ის გამოწვევები და სიკეთეები რაც თან ახლდა მოსახლეობის პრობლემების მოგვარებას. მოსახლეობის მხრიდან დაისვა შეკითხვები, რომლებიც ძირითადად ეხებოდა ინფრასტრუქტურულ პროექტებს და სოციალურ პრობლემებს. საკრებულოს წევრმა გიორგი შიოშვილმა აღნიშნა, რომ აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის და პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებაში, სადაც ასევე იქნება მოსახლეობის ის პრობლემები ასახული რომლის გაკეთებაც ვერ მოხერხდა ამ წლის ბიუჯეტიდან.

აზრი გამოთქვეს: რამაზ ქველიძემ, თამაზ ტერმაკოზაშვილმა.

გადაწყვიტეს: პრობლემების გამოვლენის და აღმოფხვრის მიზნით გაიზარდოს მოსახლეობის ჩართულობა, რისთვისაც უფრო სისტემატიური ხასიათი მიიღოს საკრებულოს წევრების და ამომრჩევლების ურთიერთშეხვედრებმა და ურთიერთთანამშრომლობამ.

სხდომის თავმჯდომარე: თამარ მურალოვა

საკრებულოს წევრი: გიორგი შიოშვილი